

შპს ასპინძა პროდაქტი

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ასპინძა პროდაქტი "-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში საქმიანობის შეჩერებას და ორიენტირებულია მოგების გაზრდაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის. ხელმძღვანელობის მიერ.

დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 22 სექტემბერს

ხელმომწერი პირი

დირექტორი მ. ცქიტიშვილი



შპს ასპინძა პროდაქტი

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2023-2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ერთეული ლარი)

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	4610345	3745137
საქონლის გაყიდვიდან	4610345	3745137
გაყიდვების თვითღირებულება	-2058280	-1890625
საერთო მოგება	2552065	1854512
დასაქმებულთა ანაზღაურება	-252800	-234173
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-173593	-259093
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-527583	-335069
სულ საოპერაციო ხარჯები	-953976	-828335
საოპერაციო მოგება	1598089	1026177
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-68088	2165
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1530001	1028342
მოგების გადასახადის ხარჯი	-232940	-142188
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1297061	886154
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1297061	886154
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3000102	2913948
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1263158	-800000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3034005	3000102



ხელმომწერი პირი დირექტორი მ. ცქიტიშვილი

(ერთეული ლარი)

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	125659	75038	168530
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	492557	477391	457636
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	37172	222109	0
მარაგები	98253	34829	72557
მზა პროდუქცია	20760	15605	39456
სხვა	77493	19224	33101
სხვა მოკლევადიანი აქტივები	32569	102180	154884
სხვა არამატერიალური აქტივები	1086510	1223031	1359553
ძირითადი საშუალებები	1203334	912967	745490
სულ აქტივები	3076054	3047545	2958650
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	41773	47357	44554
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	86	0
სხვა ვალდებულებები	276	0	148
სულ ვალდებულებები	42049	47443	44702
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	4000	4000	4000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3030005	2996102	2909948
სულ საკუთარი კაპიტალი	3034005	3000102	2913948
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3076054	3047545	2958650



ხელმომწერი პირი დირექტორი

მ. ცქიტიშვილი

ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „ასპინძა პროდაქტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 09.07. 1999 წ. ს.ნ 223101248

კომპანიის დამფუძნებელი:

გიორგი ტალახაძე პ.ნ. 01026004370 – 25 % წილის მმართველი;

თენგიზი ტალახაძე პ.ნ. 01019060327 – 25 % წილის მმართველი;

გელა ლონდარიძე პ.ნ. 05001000684 – 25 % წილის მმართველი;

იოსებ ალფაიძე პ.ნ. 01501154708 – 25 % წილის მმართველი.

კომპანიის დირექტორი მიხეილ ცეციტიშვილი პ.ნ. 52001017729

იურიდიული მისამართი: საქართველო, ასპინძის რ-ნი, სოფ. ნაქალაქევი

ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი 6, ბინა 9ა

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 4000 ლარს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: წარმოება (ნახშირმაჟავა აირის-CO 2-ის მოპოვება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. 2024 წელს კომპანია ანგარიშგებას

ამზადებს ამ სტანდარტის მიხედვით. ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მსს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან

12 თვის განმავლობაში.

- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში(რომელიც უფრო გრძელია).
 - ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით: ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ

შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთი დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი.

მოგება ან ზარალი(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით

2024 -2023 წწ

შენობა-ნაგებობები	20 - 25
მანქანა - დანადგარები	5 - 8
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფ. მოწყობილობები	4 - 6
სპეციალური ინსტრუმენტები	3 - 6
მსუბუქი ავტომობილები	7 - 10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4 - 7

ძირითადი საშუალებები 2023 -2024 წ

(ერთეული ლარი)

	მიწა	შენიშნა/ ნაგებობა	მანქანა დანადგ	ავიჯი და ინვ	სხვა	ავტოტრ.	სულ
ძირ საშუალებები 31.01.2023	7937	223810	603072	7945	22964	559479	1425207
შემოსვლა			298596		424.00	5139.00	304159
გასვლა			76640				76640
ძირ საშუალებები 31.12.2023	7937	223810	825028	7945	23388	564618	1652726
შემოსვლა			237459.00	1242		225260	463961
გასვლა							0.00
ძირ საშუალებები 31.12.2024	7937	223810	1062487	9187	23388	789878	2116687
დაგრ ცვეთა 31.01.2023		88314	329898	7233	21293	232978	679716
გასვლა 2023			62529				62529
დარიცხ ცვეთა 2023		9782	66311	27	363	46088	122571
დაგრ ცვეთა 31.12.2023		98096	333680	7260	21656	279066	739758
გასვლა 2024							0
დარიცხ ცვეთა 2024		9782	95610	580	413	67208	173593
დაგრ ცვეთა 31.12.2024		107878	429290	7840	22069	346274	913351
ძ/სამ ნარჩ დ-ბა 2023	7937	125714	491348	685	1732	285552	912967
ძ/სამ ნარჩ დ-ბა 2024	7937	115932	633197	1347	1319	443604	1203334

არამატერიალური აქტივი

კომპანიას გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 3 ლიცენზია:

1. ლიცენზია N 100864 - 2032 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით;
2. ლიცენზია N 00801 - 2032 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით;
3. ლიცენზია N 100692 - 2032 წლის 5 სექტემბერი ჩათვლით.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხდება ასპინძაში, სოფელ ნაქალაქევში მდებარე საწარმოში.

(ერთეული ლარი)

არამატერიალური აქტივი	საბალანსო ღ-ბა	დაგეგვილი ამორტ	ამორტიზაცია	საბოლოო
არამატერ. აქტივი 31.12.2023	3134334	1911304		1223031
არამატერ. აქტივი ამორტ 2023			136522	
არამატერ. აქტივი 31.12.2024	3134334	2047824		1086510
არამატერ. აქტივი ამორტ 2024			136522	

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების ჩათვლით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროდუქციის მარაგებს, რომელიც განკუთვნილია გადასაყიდად. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების

მეთოდით.

საწვავის შეძენა ხდება ბარათების საშუალებით, ხოლო ჩამოწერა წარმოებს საწარმოს კუთვნილი 2 ერთეული საწევარა მზიდი ავტომობილების /3 ერთეული 18 ტონიანი და 1 ერთეული 9 ტონიანი მისაბმელით/ და ერთ ერთეულ მსუბუქი ავტომობილზე მრიცხველის და შემოსავლების სამსახურის ერთიან ბაზაში საწარმოს მიერ პროდუქციის რეალიზაციაზე გამოწერილი სასაქონლო ზედნადებების მონაცემებზე დაყრდნობით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

(ერთეული ლარი)

	31.12.2024	31.12.2023
მარაგები (მზა პროდუქცია)	20760	15605
სხვა მარაგები	77493	19224
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	98253	34829

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ერთეული ლარი)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	492557	477391
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	0	0
გადახდილი ავანსები	37173	222109
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	529729	742414

საქონლის რეალიზაცია ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, ძირითადად 30 დღემდე კონსიგნაციით და დავალიანება იფარება მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება საქონლის გაყიდვისას, მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს

გადასცემს რეალიზებულ პროდუქციას.

ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ერთეული ლარი)

	31.12.2024 წ	31.12.2023წ
ვალდებულებები	41773	47357
სავაჭრო მოკლევადიანი სასესო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	276	86
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	42049	47443

ფული და ფულის ექვივალენტები

(ერთეული ლარი)

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან. საწარმოს ნაღდი ანგარიშწორებით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციები არ აქვს.

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2024 წ	31.12.2023 წ
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	82 449	43 679
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	43 210	31 359
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	125 659	75 038

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მის ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“), რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	2024	2023
1 USD / GEL	2.8068	2.6894
1 EUR / GEL	2.9306	2.9753

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში, რომელშიც ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. 2024 საანგარიშო წელს საწარმოს სასესხო ვალდებულებები არ გააჩნდა და შესაბამისად სესხის პროცენტის ხარჯიც არ აქვს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 4000 ლარი აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კვალიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. კომპანიის შემთხვევაში საწესდებო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა. აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

კომპანიის შემთხვევაში საწესდებო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა.

2024 წელს მოხდა დივიდენდის გამოცხადება და განაწილება თანხით 1263158 ლარი.

ხელმომწერი პირი



დირექტორი

მ. ცქიტიშვილი